პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 64 (11068) | ორშაბათი, 17 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მთელ ჩვენს ქვეყანაში.**

**ხმა მისცა რა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავისი მჭიდრო დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.**

## საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. მილიონობით საბჭოთა ადამიანი გამოცხადდა საარჩევნო უბნებში, რათა მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა — აერჩიათ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატები. დიდი ზეიმი იყო ჩვენი სამშობლოს ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფლებში, გამოცოცხლება და სიხარული სუფევდა ქუჩებში და მოედნებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო მათი მჭიდრო დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად, საბჭოთა დემოკრატიის ახალ ტრიუმფად.

საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებით მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ მუშაკებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს — საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილებს, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ ყველა ამომრჩევლისადმი — მუშებისადმი, გლეხებისადმი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისადმი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის მძლავრი აზვირთება გამოიწვია მშრომელთა ფართო მასებში. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, საბჭოთა ხალხის ბედნიერებას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს. კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი ჩვენი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კარგად გამოხატა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე ზეინკალმა აკაკი ახობაძემ, რომელმაც საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვების შემდეგ განაცხადა:

— ჩვენი გული აღსავსეა საყვარელი სამშობლოსათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის პატრიოტული სიამაყის გრძნობით. სიხარულით მივეცი რა ხმა ამხ. ვ. მჟავანაძეს და ჩვენი ქარხნის მოწინავე ხარატს ამხ. ა. მარგველაშვილს, ამით ხმა მივეცი კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ წინსვლასა და აყვავებას, კომუნიზმის გამარჯვებას.

კომუნისტურ პარტიას არა აქვს სხვა ინტერესი, გარდა ხალხის ინტერესებისა. ხალხის საკეთილდღეოდ შენდება ახალი ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, გიგანტური ელექტროსადგურები, წარმოებს წიაღის უთვალავი სიმდიდრის ათვისება, მილიონობით ჰექტარი ყამირი მიწა ხორბლის უსაზღვრო ზღვად იქცევა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში ჩვენი ქვეყნის მრეწველობის საერთო პროდუქცია ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ამავე ხნის განმავლობაში ყველაზე მძლავრმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — წარმოების საერთო მოცულობის გადიდება მხოლოდ 7 პროცენტით შეძლო, ამასთან უკანასკნელ თვეებში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა სერიოზულ დაქვეითებას განიცდის. ამ ციფრებისა და ფაქტების შედარება დამაჯერებლად მოწმობს, რომ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ — რეალური ამოცანაა. და საბჭოთა ხალხი, რომელსაც პარტია ხელმძღვანელობს, ამ ამოცანას შეასრულებს.

ოთხი წლის წინათ წინასაარჩევნო მიმართვაში პარტია აცხადებდა, რომ ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს მოკლე ვადაში მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას. ახლა ყველა ხედავს, თუ რა წარმატებით ხორციელდება ეს შესაძლებლობა. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მეოხებით ნათესი ფართობები სსრ კავშირში ამ წლების განმავლობაში გაიზარდა 36 მილიონი ჰექტარით, რამაც შესაძლებელი გახადა მთელ რიგ რაიონებში შარშანდელი ძლიერი გვალვის დროსაც კი მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მიგვეღო გაცილებით მეტი მარცვლეული, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის ყველაზე მოსავლიან წელს. სამი წლის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმზე მიღებულ იქნა მეცხოველეობის პროდუქციის გადიდების მთელი რიგი დავალებები უახლოესი ექვსი წლისათვის. ზოგიერთი ეს დავალება ვადამდე — სამ წელიწადში შესრულდა. უკვე 1957 წელს რძის წარმოებამ სსრ კავშირში მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატების რძის წარმოების დაახლოებით 95 პროცენტს, ხოლო კარაქის წარმოების საერთო მოცულობით სსრ კავშირი უკვე დაეწია ამერიკის შეერთებულ შტატებს. სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების კიდევ უფრო სწრაფი ზრდის პერსპექტივებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ.

უდიდესი წარმატებებია მოპოვებული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების დარგში.

ჩვენი ქვეყნის მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია წინა არჩევნებიდან განვლილ პერიოდში, მოწმობენ, რომ კომუნისტური პარტიის სიტყვა მტკიცე სიტყვაა, რომ იგი პირნათლად და ღირსეულად ასრულებს თავის დაპირებებს, თავის პროგრამას. ეს არის თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი საბჭოთა ხალხის ნდობისა და სიყვარულის უშრეტი წყარო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, მის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა კვლავაც განსაზღვრავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის მთავარ მიმართულებას. ჩვენი პარტია ამაში ხედავს თავის ძირითად ამოცანას, დიდი ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის მთელი თავისი მუშაობის აზრს.

საბჭოთა კავშირს, როგორც ეს განაცხადა ქ. მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ახლა ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყვიტოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანები — აქვს მძლავრი ინდუსტრია, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონე, აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე, ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები.

ხმა მისცა რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ჩვენმა ხალხმა — თავისი ქვეყნის სრულუფლებიანმა ბატონ-პატრონმა—ხმა მისცა კომუნისტური პარტიის ლენინურ პოლიტიკას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პოლიტიკას.

## ჩვენი ქვეყანა ხმას აძლევს ხალხის ბედნიერებას, კომუნიზმს

16 მარტს დილის 6 საათზე სტუმართმოყვრულად გაიღო ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა საარჩევნო უბნის კარები. დაიწყო საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსშესანიშნავი დღე. საბჭოთა ადამიანები უმაღლეს საბჭოში ირჩევენ ჩვენი დიადი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საუკეთესო შვილებს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მოწინავე მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს.

როცა კრემლის კურანტებმა 15 მარტის საღამოს 8 საათი დაჰკრეს, ჩუკოტკის უელენში 16 მარტის დილის 6 საათი იყო. აქ დაიწყო ხმის მიცემა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებისათვის. ლოვერსკოეში, იზვესტკოვოში, ზოლოტოისა და სხვა დაბებში დილის 10 საათისათვის ყველა ამომრჩეველს მიცემული ჰქონდა ხმა. ხმის მიცემის დამთავრებას იუწყებიან დიზელ-ელექტრომავალ „ობიდან“, რომელიც ანტარქტიდაშია, ბურიატ-მონღოლეთის ულუს ნარინ-შიბირიდან, იაკუტიის ასსრ მთელი რიგი საარჩევნო უბნებიდან, ქალაქ ამურის კომსომოლსკიდან და ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სხვა დასახლებული პუნქტებიდან.

ჩვენს საუცხოო სამშობლოზე, კომუნისტურ პარტიაზე ფიქრით აძლევენ ხმას აზერბაიჯანელები და ლატვიელები, უზბეკები და ესტონელები, მოლდაველები და ქართველები, ლიტველები და ყაზახები — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელი.

სადღესასწაულოდ და დიდებულად არის მორთული ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი. ყველგან ისმის სიმღერა, კაშკაშებს გაზაფხულის მზე, ხალხი ბევრია წითელი დროშებით მორთულ ქუჩებში. ამ არჩევნების დროს მოსკოვში ათობით ახალი საარჩევნო უბანი შეიქმნა. დედაქალაქი ახალშენებათა ხარაჩოებშია. მარტო შარშან აქ 70 ათასზე მეტმა ოჯახმა მიიღო ბინები ახალ სახლებში.

ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქი... დაუსრულებლად მოდიან ადამიანები საარჩევნო ყუთებთან. დიდი აღმავლობით მიმდინარეობს ხმის მიცემა კუიბიშევის საარჩევნო ოლქსა და დედაქალაქის სხვა საარჩევნო ოლქებში.

მოსკოვის ლენინის საარჩევნო ოლქის 131-ე საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად ერთ-ერთი პირველი მოვიდა ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის კადრის მუშის — გამწყობ ს. ფ. კოსტერევის ოჯახი. ჩაუშვა რა საარჩევნო ბიულეტენები, სიმონ ფილიპეს-ძემ განაცხადა:

— სიხარულით ვაძლევ ხმას ჩვენს საბჭოთა სახალხო ხელისუფლებას, მის ზრუნვას მუშებისათვის, ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ამომრჩევლები, რომელთაც უზრუნველყოფილი აქვთ ხვალინდელი დღე, ერთსულოვნად აძლევენ ხმას ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებს, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

(საქტასი).

## კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

★

### მშვიდობას, ბედნიერებას...

ჯერ კიდევ გათენებამდე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ოქტომბრის რაიონის ამომრჩევლები უწყვეტ ნაკადად დაიძრნენ საარჩევნო უბნებისაკენ...

აი პლეხანოვის პროსპექტის № 40 სახლში მოთავსებულ საარჩევნო უბანში შემოდის ახალგაზრდა ინჟინერი გ. ისაკაძე. იგი ესაუბრება საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს ვ. ლაშაურს.

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, — განაცხადა ამხ. ისაკაძემ, — ჩვენს წინაშე დასახულია ახალი საბრძოლო ამოცანები. მე, როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკს, დიდად მაინტერესებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში დასახული საკითხების სწორად და უსწრაფესად განხორციელება. ხმას ვაძლევ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას ვაძლევ საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ხალხთა ბედნიერებას, მშვიდობას.

საარჩევნო ყუთთან მივიდა ხანში შესული პენსიონერი დიასახლისი ლ. ჯოხაძე. მან ბიულეტენის ჩაშვების წინ გაიხსენა ძველი თბილისის ჩუღურეთის ეს უბანი. წინათ აქ ტანჯვა-ვაებით ცხოვრობდნენ ადამიანები. დღეს ოქტომბრის რაიონი დედაქალაქის ერთ-ერთი მშვენებაა.

### ხმას აძლევენ მეტალურგები

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ინდუსტრიული ქალაქი საზეიმოდ არის მორთული. მშრომლები საარჩევნო უბნებისაკენ მიეშურებიან. სიამაყის გრძნობით შედიან ოთახში, სადაც წითელი ყუთი დგას, საარჩევნო ბიულეტენებზე კითხულობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების — მეფოლადე შოთა ტრიფონის-ძე შუბითიძისა და კოლმეურნე რაჰმანსა მამედ-ყზი ალიევას გვარებს. ამ ღირსეულ ადამიანებს კარგად იცნობენ რუსთავის მშრომელები და სიამოვნებით აძლევენ ხმას.

მტკვრის მარჯვენა ნაპირის ახალი უბნები. 26-ე და 27-ე საარჩევნო უბნებში მშრომელები შეკრებილან, მღერიან, ცეკვავენ.

საარჩევნო ყუთთან მიდის მარიამ ოვჩინიკოვა, რომელიც რუსთავში თავის ქალიშვილთან შორეული ვიბორგიდან სტუმრად ჩამოვიდა. მან სიამაყით განაცხადა:

— აღფრთოვანებული ვარ, რომ ვნახე ახალგაზრდა ქალაქი, რომელიც საბჭოთა ადამიანების დაუღალავი შრომით კვლავ შენდება და ფართოვდება. ხმას ვაძლევ რა რუსთავის მშრომელთა რჩეულებს, ამით ხმას ვაძლევ ჩვენს დიად აწმყოს და უკეთეს მომავალს.

გაბრწყინებული სახეებით მიდიან საარჩევნო ყუთებთან მეტალურგიული ქარხნის მუშა ა. მორბედაძე და მისი მეუღლე პელაგია. მათს სიხარულს საფუძველიც აქვს. არჩევნების წინადღეებში მათ შესანიშნავი ბინა მიიღეს. ახალ ბინებში შესახლდნენ მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ელექტროშემდუღებელი უ. მუჩიაური, აგრეთვე ვ. ნიკოლაევა, თ. გორგილაძე, გ. მეტრეველი, ა. მჭედლიშვილი.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე ხმას აძლევს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-11 საარჩევნო უბანში.

ფოტო ვ. გრიგოლაშვილისა.

რეპორტაჟი

### სტალინის საარჩევნო ოლქში

— მომილოცავს ზეიმი! გულთბილი მისალმების ამ სიტყვებით ხვდებოდნენ ერთმანეთს ამომრჩევლები გუშინ ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი რაიონის — სტალინის რაიონის საარჩევნო უბნებში.

...დილის 6 საათია. მაუდ-კამვოლის კომბინატის საზეიმოდ მორთული კლუბი უკვე სავსეა ამომრჩევლებით. აქ თავი მოიყარეს საწარმოს მუშებმა, რაიონის მშრომელებმა. სტალინის რაიონის № 43/39 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. უ. ძიძიგური მოუწოდებს მათ მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

საარჩევნო ყუთთან პირველნი მიდიან ახალგაზრდა ამომრჩევლები — კომბინატის მოწინავე მრთველები რ. ყურავლიოვა და ნ. კორევა. მათ სახეს ოდნავი აღელვებისა და სიამაყის ელფერი დაჰკრავს. ეს გასაგებიც არის. ისინი ხომ პირველად მონაწილეობენ არჩევნებში, ხმას აძლევენ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. მჟავანაძეს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს მოწინავე მქსოველს ამხ. ნ. ამოსოვას.

ახალგაზრდა ამომრჩევლების შემდეგ მიდიან კომბინატის ყოფილი მუშა, ამჟამად პენსიონერი ო. პავლენკო, შრომის ვეტერანი ქვეოსტატი ა. ტატანაშვილი და სხვ.

— ჩვენი კომბინატის მრავალასიანი კოლექტივი, — ამბობს მოწინავე მრთველი რ. ყურავლიოვა, — შრომაში საუკეთესო მაჩვენებლებითა და მაღალი პოლიტიკური აქტივობით შეხვდა არჩევნებს. წლის დასაწყისიდანვე საწარმო ენერგიულად ჩაება არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამან კარგი შედეგიც მოგვცა. საერთო პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა 106,1 პროცენტით შევასრულეთ და სახელმწიფოს მივეცით 1 მილიონ 569 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. გეგმის გადამეტებით მოვქსოვეთ 20 ათასამდე მეტრი შალის ქსოვილი.

— როგორია თქვენი მიღწევები?

— პირადად მე ყოველდღიურ დავალებას 120 პროცენტით ვასრულებ. ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ ჩვენს ღირსეულ კანდიდატს — ნინო ამოსოვას, — ღიმილით დასძინა მან...

და განა მარტო ფეიქრებმა — რაიონის სხვა საწარმოებმაც მაღალი შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნეს არჩევნების დღე. საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა რაიონის საწარმოებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, გამოუშვეს 10 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. არჩევნების დღეს ახალი წარმატებებით შეხვდა მე-6 საფქვავი ქარხანა. მისმა კოლექტივმა გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება და აითვისა მეფრინველეობისათვის კომბინირებული საკვების გამოშვება. წლის ბოლოსათვის ქარხანა 10 ათას ტონა ასეთ საკვებს გამოუშვებს.

...გუშინ დღის 12 საათისათვის სტალინის რაიონის საარჩევნო ოლქის ყველა უბანში ძირითადად დამთავრებული იყო ხმის მიცემა.

**ო. არობელიძე.**

★

### სახალხო ზეიმი

**სოხუმი.** (საკ. კორ.). საქართველოს ზღვისპირეთის კურორტ-ქალაქის მშრომელებმა დილიდანვე დაიწყეს თავმოყრა საარჩევნო უბნებში.

კომკავშირის საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველი აძლევს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს 89 წლის კ. ბენიძე.

საარჩევნო უბანში თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად გამოცხადდა ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე, ძველი ბოლშევიკი ა. ჯიქია, რომელმაც ბიულეტენები სახეგაბრწყინებულმა ჩაუშვა საარჩევნო ყუთში.

— ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისა და უკეთესი მომავლისათვის, — ამბობს იგი, — ხალხისადმი ესოდენ დიდი ზრუნვისათვის მადლობა მშობლიურ პარტიასა და მთავრობას!

სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის ვითარებაში ჩაიარა არჩევნების დღემ ინდუსტრიულ ქალაქ ტყვარჩელში, გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში.

შუადღისათვის აფხაზეთში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრებული იყო. გვიან ღამემდე გრძელდებოდა მხიარულება, მშრომელთა დღესასწაული. ეს ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო.

### ჩემი ხმა—ღირსეულ ადამიანებს

წლითიწლობით იზრდება და მშვენდება ბათუმელ მენავთობეთა საცხოვრებელი დაბა. მათს განკარგულებაშია მრავალსართულიანი ყოველმხრივ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები ცენტრალური გათბობით, მუდმივი ელექტროგანათებით, ახალი საავადმყოფო და პოლიკლინიკა ყველა საჭირო სამკურნალო კაბინეტით, საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, საბავშვო ბაღი და ბაგა, მენავთობეთა დაბის მშვენება — კულტურის სასახლე, მუშათა სასადილო, აბანო, კინოპავილიონი, მაღაზიები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი და ნაგებობანი. ათობით მენავთობეთა ოჯახმა ახალი წელი გაითენა ახალ, 58-ბინიან საცხოვრებელ სახლში.

ეს ფაქტებიც მოწმობენ, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის კეთილდღეობისათვის. ამიტომ 16 მარტს სიხარულით ჩავუშვით ბიულეტენები საარჩევნო ყუთში და ხმა მივეცით კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას.

ზღვისპირის საარჩევნო უბნის სხვა ამომრჩევლებთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა ხმა მივეცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს პ. კოვანოვს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ფ. დუმბაძეს და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დანადგარის უფროსს მ. ფალავას.

**ტ. გორიუნოვა,**
ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი ლაბორანტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.





სურათებზე: 1. ლენინის რაიონის 32-ე საარჩევნო უბნის ამომრჩევლები (მარცხნიდან მარჯვნივ) მოსწავლეები შ. ბაკაკური, ნ. კვანჭილაშვილი, რომლებიც პირველად აძლევენ ხმას, და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ერთ-ერთი უძველესი მუშის, ამჟამად პენსიონერის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრის 1917 წლიდან ზ. ტეგეტაშვილის ოჯახი პირველნი აძლევენ ხმას საარჩევნო უბანში; 2. თბილისის ოქტომბრის რაიონის № 104/12 საარჩევნო უბანში. ამომრჩეველი ხ. შარაშიძე (მარცხნივ), რომელიც წელს პირველად აძლევს ხმას და ექიმი მ. ნიკოლაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა და გ. გოგოხიასი.

# საქართველოს მშრომელებმა უდიდესი ერთსულოვნებით მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს

★ ★

## კომუნიზმის გამარჯვებისათვის

თ ე ლ ა ვ ი. (საკ. კორ.). ჯერ კიდევ ბინდში იყო გახვეული ქალაქი, როცა ქუჩებში გაისმა მუსიკის ხმა, მშრომელთა მხიარული ჟრიამული. მუშები, მოსამსახურეები, დიასახლისები, სტუდენტები ლამაზი კეთილმოწყობილი ქუჩებით მიემართებოდნენ საარჩევნო უბნებისაკენ, რათა ხმა მიეცათ იმათთვის, ვინც მრავალგზის დაამტკიცა ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, დიადი სამშობლოსადმი.

მუსიკალური სკოლის შენობაში მოწყობილია საარჩევნო უბანი, რომელიც ლამაზად არის გაფორმებული. გუშინ აქ დილის 5 საათისათვის ასობით ამომრჩეველმა მოიყარა თავი. სრულ 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. მდივნიშვილმა თელაველებს მიულოცა დღესასწაული, არჩევნების დაწყება აუწყა.

მეთერთმეტეკლასელმა ციალა ლეკიშვილმა, რომელიც წელს პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში, პირველმა მიიღო ბიულეტენი.

ამომრჩევლები განუწყვეტელ ნაკადად მოდიან. დამსახურებული მასწავლებელი ნინო ყაზახაშვილი, დამსახურებული ექიმი ნინო ძიძიშვილი, პენსიონერი მასწავლებელი ანო საგინაშვილი ხმას აძლევენ ხალხის რჩეულთ.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ერთსულოვნად მისცეს ხმა ლაური პარწიკანაშვილმა და ზინა ომიაძემ, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს და ახლა ბეჯითად შრომობენ კოლმეურნეობაში.

საარჩევნო უბანში მიდის ბრიგადირი ნიკოლოზ ქევხიშვილი. მისმა ბრიგადამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე 93 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

— კომუნისტური პარტიის მზრუნველობას, — თქვა მან, — მძლავრი შრომითი ენთუზიაზმით ვუპასუხებთ. წელს ყოველი ჰექტარი ვენახიდან სულ ცოტა 100 ცენტნერ ყურძენს მოვკრეფთ.

რჩეულთა შორის რჩეულებს ხმა მისცეს კოლმეურნე მექანიზატორებმა მიხეილ ხატიაშვილმა, ზაქარია ლეცუბიძემ და სხვებმა, რომლებიც კოლმეურნეობათა მიერ მტს-ებისაგან შეძენილ მძლავრ მანქანებს შეუფერხებლად ამუშავებენ.

აკურაში, წინანდალში, რუისპირში, კონდოლში, კურდღელაურში და სხვა სოფლებში გუშინ დღის 12 საათისათვის ამომრჩეველთა 99 პროცენტმა განახორციელა საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლება.

## მწყემსის სიტყვა

აუტანელი იყო გლეხკაცის ბედი წარსულში. მთელ ქართველ ხალხთან ერთად სოფელ არაშენდის მშრომელებსაც სულს გვიხუთავდა სიღატაკე, უმეცრება და უუფლებობა. ვინ აირჩევდა უბრალო ადამიანს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ახლა კი სულ სხვაა. სიძველის არაფერი დარჩენილა ჩვენს სოფელში. აშენდა და დამშვენდა არაშენდა. თავისუფალმა შრომამ და შეძლებულმა ცხოვრებამ საშუალება მოგვცა გარდაგვექმნა სოფლის სახე. იგი ახლა მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. სოფელში არის სასოფლო კლუბი, სასოფლო და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკები, საშუალო სკოლა, საავადმყოფო, აბანო. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე 200-ზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი.

ყოველივე ამას ჩვენ ვუმადლით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. ამიტომ იყო, რომ 16 მარტს მეც ერთ-ერთმა პირველმა სიხარულით მივეცი ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს — რუსთავის მეფოლადეს შ. შუბითიძეს და წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. მამაიაშვილს.

თუმცა 76 წლისა ვარ, მაგრამ შარშან 700-ზე მეტი შრომადღე გამოვიმუშავე და ოჯახი დოვლათით ავავსე. პირობას ვიძლევი, რომ კვლავაც თავდადებულად ვიშრომებ ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ი. ბერიძე,**
კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსი.

## მეომართა ხმა

დილის 6 საათია. საარჩევნო უბნის შესასვლელთან ნ ნაწილის მეომრებს მოეყარათ თავი.

ირგვლივ საზეიმო განწყობილებაა. მებრძოლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღეს ხმას აძლევენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს. ყველაზე ბედნიერია, რა თქმა უნდა ის, ვინც პირველი მივიდა საარჩევნო უბანში. აი რიგითი მებრძოლები ე. ნისტრატოვი, ს. ანიკინი, ვ. კრუჩენკოვი, ტ. მუსტაფაევი საარჩევნო ყუთში უშვებენ ბიულეტენებს.

ბევრი რამ კარგი შეიძლება ითქვას ნ ნაწილის მეომრებზე. მოლდაველი ფ. მორკინა, ქართველი ს. გუგუნავა, რუსი ს. ქიჩევი და სხვები არჩევნების წინა დღეებში გამსჭვალული იყვნენ მხოლოდ ერთი მისწრაფებით — ახალი საჩუქრებით, მაღალი საბრძოლო მომზადებით შეხვედროდნენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

საარჩევნო ყუთთან მიდიან უმცროსი სერჟანტები ა. ბორისოვი და ი. პოტაპოვი. ისინი პარტიისა და მთავრობისადმი მადლიერების გრძნობით ირჩევენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

მეომრები განუწყვეტელ ნაკადად მოდიან საარჩევნო უბანში. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ისინი იხდიან წმიდა მოქალაქეობრივ მოვალეობას — ხმას აძლევენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს. ნაწილის ჯარისკაცები, სერჟანტები სიტყვას აძლევენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ მეტი მონდომებით დაეუფლებიან მხედრულ ოსტატობას, კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითს ძლიერებას.



## გვიყვარს პარტია

⊙

**ვ. თოროუა**

⊙

ჩვენში არჩევნები დიდ სახალხო დღესასწაულად ითვლება. ერთი ასეთი დღესასწაული გადაიხადა გუშინ ხალხმა — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩია კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები.

... ახალი წლის დილას ეგებება ადამიანი ასეთი სიხარულით. მოხუცს თავისი ასაკი ავიწყდება, მასში ფიზიკური და სულიერი ძალები ილვიძებს. ახალგაზრდა ახალ ენერგიასა და ალმაფრენას გრძნობს. განწყობილება საზეიმოა. ქალაქები და სოფლები ჩვეულებრივზე ადრე იღვიძებენ. ხალხმრავალი და მოჟრიამულე ყველა გზა და ქუჩა მიემართება ალმებით და ალისფერი ტრანსპარანტებით მორთულ შენობებთან — საარჩევნო უბნებთან. სტუმართმოყვრულად ფართოდ გაღებული კარი თავაზიანად გიხმობს შიგნით, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო. ასრულებ უწმინდეს მოქალაქეობრივ მოვალეობას, ხმას აძლევ ხალხის რჩეულთ. კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით გამოდიხარ ვალმოხდილი. იმ ბედნიერ წუთებში არ გცილდება ფიქრი იმაზე, ვინც ყველაზე დიადი და შთამაგონებელია, ყველაზე სანუკვარი და საყვარელია, — არ გცილდება ფიქრი პარტიაზე.

მაინც რატომ ვთვლით ზეიმად არჩევნებს და რატომ ასეთი სიყვარულით ვმოსავთ ჩვენს მხურვალე გულში პარტიის სახელს, როცა ყუთში ვუშვებთ საარჩევნო ბიულეტენებს?

ბუნებრივია, რომ გონების თვალს გადავავლებთ წინა არჩევნებიდან დღემდე გასულ დროს. როგორ ავმაღლებულვართ! ამ სიმაღლეზე კი პარტიამ აგვიყვანა. ამ სიმაღლიდან ჩვენი გონების თვალი სწვდება ჩვენი ცხოვრების შორეულ ჰორიზონტებს. ოთხი წლის წინანდელი რუკა შეცვლილა. ახალ, დღევანდელ რუკაზე წინათ უცნობი და უხილავი წერტილები გაჩენილან — ნიშანი ახალი გიგანტებისა, კომუნიზმის ახალი შუქისა, წალკოტად ქცეული ათვისებული მიწებისა, გაზრდილი ქალაქებისა და აყვავებული სოფლებისა. ჩვენს ედემის ბაღში, სოციალისტური საზოგადოება რომ ჰქვია, სამშობლო რომ ჰქვია, ოთხი წლის წინათ ჩაყრილი ნერგები ტოტებგაშლილ ხეებად ქცეულან. გაფურჩქვნილან კომუნიზმის ყლორტები.

პარტიამ ხილული და ხელშესახები გახადა დანაპირები. ხორცშესხმულია ის, რასაც პარტია ამ ოთხი წლის წინათ ხალხს დაჰპირდა. არჩევნებიდან არჩევნებამდე განვლილი დრო ჩვენს ქვეყანაში მუდამ არის კომუნიზმის ახალ სიმაღლეებზე აღმავალი გზა. ამ გზას პარტია გვიკვალავს, ამ აღმავალი გზით პარტიას მივყავართ. ამიტომ გვიყვარს პარტია.

კიდევ იმიტომ უყვარს ხალხს პარტია, რომ იგი ხალხში ყველაზე უკეთ ხედავს ძალას, სწამს ეს ძალა, სჯერა მისი ძლევამოსილება და წარმართავს მას. ხალხსაც სჯერა თავისი ძალისა. ეს რწმენა მას პარტიამ შთაუნერგა. ხოლო რწმენა ყველაზე უძლეველი იარაღია დასახული მიზნის მიღწევის გზაზე. განა ცოტანი იყვნენ სულმოკლენი, რომლებიც უნდობლად უყურებდნენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გრანდიოზულ პროგრამას? ხალხმა პარტიის წინამძღოლობით შეძლო ხორცი შეესხა ამ პროგრამისათვის. ჩვენმა პურის ბეღელმა უკვე გაშალა მხრები დასავლეთიდან და სამხრეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

არ არსებობს სიძნელე, რომლის გადალახვაც საბჭოთა ხალხს არ შეეძლოს, რადგან მას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. ისტორიამ იცის ამის არა ერთი მაგალითი. პარტია არის კლასის ტვინი, კლასის გონება. ხალხი ანიჭებს მას ძალას, ხალხთან კავშირი ხდის მას ეპოქის გმირად. პარტიისათვის ხალხი ის არის, რაც ძველი მითოლოგიის ანთეოსისათვის დედამიწა იყო: ანთეოსი უძლეველი იყო, თუ ფეხი დედამიწაზე ედგა, უძლური, — თუ მას მოსწყდებოდა. პარტია არასოდეს არ სწყდება თავის დედას — ხალხს, და ამიტომ არის უძლეველი.

ამიტომ გვიყვარს პარტია.

კიდევ იმიტომ გვიყვარს პარტია, რომ მთელი მისი მოღვაწეობის უმაღლესი დანიშნულებაა ხალხისათვის ზრუნვა. წინა არჩევნებიდან გასული ოთხი წელი ამ ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაციაა. 1953 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია 55 პროცენტით გაიზარდა, ფართო მოხმარების საგნების წარმოება 45 პროცენტით.

გვიყვარს პარტია ადამიანზე ზრუნვისათვის, ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებული შრომისა და დასვენების უფლებისათვის, ახალი, ნათელი ცხოვრებისათვის, ჩვენი ბავშვების ბედნიერებისათვის, მშვიდობისა და სიცოცხლის დამკვიდრებისათვის, დემოკრატიული უფლებებისათვის.

აი რატომ მიდიოდნენ სიხარულით, პარტიისადმი სიყვარულით საბჭოთა ადამიანები თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად საარჩევნო უბნებში. ეს იყო კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ზეიმი. კომუნისტური პარტია, როგორც წინა არჩევნებში, გუშინდელ მარადსახსოვარ დღესაც გამოვიდა უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან, პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ბლოკში, კავშირში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, რომლებსაც გუშინ ერთსულოვნად მივეცით ხმა, იყვნენ საერთო კანდიდატები როგორც კომუნისტებისათვის, ისე უპარტიოებისათვის. კვლავ ბრწყინვალედ გაიმარჯვებს ეს ბლოკი. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარგზავნილი ყველა დეპუტატი ხალხის რჩეული იქნება.

ხალხი გზას დაულოცავს თავის რჩეულთ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ახალ asპარეზზე.

... როგორღაც სიმბოლიურად ემთხვევა არჩევნების დღე გაზაფხულს. ახლა გაზაფხული ძალაშია. განსაკუთრებული აღმავლობით ეგებება ამ გაზაფხულს სოციალისტური საკოლმეურნეო სოფელი, რომლის ხელში პარტიის მზრუნველობით გადადის ახალი მძლავრი ტექნიკა. გაზაფხული დგას ჩვენს ქვეყანაში, მორიგი წინსვლისა და გამარჯვების გაზაფხული.

პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულით გულში კვლავ ამ წინსვლისა და გამარჯვების გზით ივლის მადლიერი საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ.

## სულით და გულით

მოუთმენლად მოელოდნენ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელები 16 მარტის გათენებას.

ხმის მიცემის დაწყებამდე ბევრად ადრე უამრავმა ამომრჩეველმა მოიყარა თავი № 78/31 საარჩევნო უბანში, რომელიც ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეორე რაიონის კლუბის შენობაშია მოთავსებული.

აუსრულდა ნატვრა ახალგაზრდა ზეინკალს რაზმიკ რუშანიანს, პირველი ბიულეტენი მან ჩაუშვა ყუთში, მეორე კი 87-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელ ნინელ ხაბეიშვილს ხვდა წილად.

№ 37/84 საარჩევნო უბანში, რომელიც თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის შენობაშია მოთავსებული საარჩევნო ყუთთან პირველი მივიდა მოხუცი ამომრჩეველი გ. პოპოიანი. მას მიჰყვნენ ს. ლოცულაშვილი, ს. ოგანესიანი და სხვ.

ამომრჩევლებმა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ასარჩევად ერთსულოვნად მისცეს ხმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს და მოწინავე ზეინკალს ს. კაკაბაძეს.

**მ. ინასარიძე.**

## წერილი დუშეთიდან

### საარჩევნო ყუთთან არის გ. ჰინჭარაულის ჯალაბობა

გათენება ჯერ კიდევ შორს იყო, გიგია ჰინჭარაულის ოჯახში ჟრიამული რომ დაიწყო.

— ადექით, დიაცნო, სადაც არს გათენდების! — შესძახა გიგიამ და ელნათურა აანთო.

წამოიშალა ჯალაბობა: დედა, მეუღლე, ქალიშვილები.

— გიგიაუ, — შეეხმაურა მეუღლე, — რას დაგვაფეთიანე, მაინც არ იშლი, გინდა პირველნი მივიდეთ საარჩევნო უბანში?

— რატომაც არა! — დაუყვავა გიგიამ, — სხვას რატომ უნდა ჩამოვრჩეთ. ჩვენმა ოჯახმა პირველმა უნდა მისცეს ხმა ხალხის კანდიდატებს...

გიგია ჰინჭარაულის ჯალაბობა მართლაც პირველი მივიდა დუშეთის კულტურის სახლის საარჩევნო უბანში. მათ პირველმა მისცეს ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

ხმის მიცემის შემდეგ გიგია ჰინჭარაულმა განაცხადა:

— მე ხევსურეთიდან ახლად ვარ ჩამოსახლებული დუშეთში. ვმუშაობ კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. ყველა ჩემი თანამემამულე ბარისაკენ მოილტვის. ამ საქმეში პარტია და მთავრობა უდიდეს დახმარებას გვიწევენ. მთელმა ჩემმა ოჯახმა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაშვებით ხმა მისცა ჩვენი პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც ასე ზრუნავს ჩვენთვის, ხალხის ინტერესებისათვის.

კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მისაცემად ამ საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველნი მოვიდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ამომრჩევლები — თამარ ჭონქაძე, მანანა სისაური, ალექსი ქისტაური, დუშეთის აჯანყების მონაწილენი და ძველი რევოლუციონერები ილო ლალიაშვილი, იოსებ არუთინოვი და სხვ.

განსაკუთრებით ორგანიზებულად მოვიდნენ ამ საარჩევნო უბანში კობიანთკარელი ამომრჩევლები. ისინი დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრები არიან. მათ წინ მოუძღოდათ მექანიზატორთა რაზმი ილია ლაზვიაშვილის მეთაურობით. ამ რაზმის წევრები — ტრაქტორისტები ნოშრევან ხუბაშვილი, ოთარ მუჩაშვილი, პეტრე ცილიკიშვილი და სხვები ახლა კოლმეურნეობის წევრები არიან და მტს-იდან კოლმეურნეობის მიერ შეძენილ მანქანებს ახლებურად მართავენ, ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

დუშეთიდან 4 კილომეტრზე მდებარეობს სოფელი ბაზალეთი. ყველაზე ახალგაზრდა ამომრჩევლებთან ციალა პარკაულთან და ვარლამ ფოლადაშვილთან ერთად საარჩევნო უბნის კარი დილის 6 საათზე პირველმა შეაღო ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის უხუცესმა წევრმა — 101 წლის მაშო ვერძეულმა. საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვებისას დიდედა მაშომ განაცხადა:

— შვილებო, ყოველ არჩევნებზე ყველაზე ადრე მე მოვდივარ ხმის მისაცემად. ამ ქაღალდებს ყუთში ვუშვებ და ვევედრები ღმერთს — მშვიდობა იყოს ამ ქვეყნად!

— დიდედა მაშო, ღმერთს კი არა, ბუნებას! — „გაუსწორეს“ კომკავშირელმა შვილიშვილებმა.

— ეგრე იყოს, თქვენებურად იყოს, თქვე კუდიანებო! — ალერსით მიუგო მაშომ და გოგონების თანხლებით გარეთ გავიდა.

### ტელეფონის ხაზზეა ჩორნი რინოკი

დუშეთის რაიონის ბევრი მკვიდრი ახლა იმყოფება ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, სადაც კოლმეურნეობათა ათეულ ათასობით ცხვარია. საკოლმეურნეო ფარები იზამთრებენ ყიზლარის ველის ბაჯიგანისა და ბირიუზაკის ტრამალებში. აქ არის ძირითადად თავმოყრილი მწყემს ამომრჩეველთა ყველაზე დიდი ნაწილი.

არჩევნებთან დაკავშირებით ყიზლარის საზამთრო საძოვრების ცენტრში — ჩორნი რინოკში იმყოფება პარტიის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. გ. ზოტიკიშვილი. ტელეფონით დავუკავშირდით მას:

— ამხანაგო გოგი! გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორ მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა.

— ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მწყემსი ამომრჩევლებისათვის შექმნილია ორი საარჩევნო უბანი: ბაჯიგანისა და ბირიუზაკისა. დილის 10 საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა 671 კაცს. დაგვრჩა 9 კაცი, რომლებიც ბატკნების „ევაკუაციაზე“ მუშაობენ. საარჩევნო ყუთებთან პირველნი მივიდნენ მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შიო ნაზღაიძე, ჭართლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადის ბრიგადირი იოსებ ლაგაზაშვილი, გუდამაყრის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე შიო ბექაური, ვეტექიმი ვანო პეტრიაშვილი და სხვ. ბიულეტენების ჩაშვებისას ყველა მეცხვარე აცხადებდა:

— ხმას ვაძლევთ რა ჩვენს კანდიდატებს, ამით ხმას ვაძლევთ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

### ლაპარაკობს შატილი

შატილი ხევსურეთის ერთ-ერთი მოზრდილი დასახლებული პუნქტია, რომელიც დუშეთის რაიონში შედის. აქ საარჩევნო უბანია.

ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა რადიოტელეფონით დავკავშირებოდით შატილს. უცბად გაისმა ხმა:

— ლაპარაკობს შატილი, ვუსმენთ დუშეთს!

— გთხოვთ დაგვაკავშიროთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან ვასილ ქავთარაძესთან, — ვთხოვეთ მორიგეს.

ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ამხ. ქავთარაძე მოვიდა რადიოტელეფონთან.

— ამხანაგო ვასილ, გთხოვთ მოკლედ გადმოგვცეთ, როგორ მიმდინარეობს თქვენთან ხმის მიცემა, — ვთხოვეთ მას.

— ჩვენს საარჩევნო უბანში, — მკაფიოდ გაისმა მისი ხმა, — შედის შემდეგი სოფლები: გიორგიწმინდა, ლებაისკირი, არდოტი, ხონე, ხონისჭალა, ხახაბო, მუცო, კისტანი და არჭილო. გათენებისას დაიწყეს ამ სოფლებიდან სვლა ამომრჩევლებმა. პირველებმა ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ზვიადაურების, ჰინჭარაულების, წიკლაურების და სხვათა ოჯახების წევრებმა. ხმის მისაცემად ისინი მოდიოდნენ მთელი ჯალაბობით. დღის 12 საათისათვის ჩვენთან უკვე დამთავრებული იყო ხმის მიცემა. არ დარჩენილა არც ერთი ამომრჩეველი, რომელსაც არ გამოეყენებინოს თავისი მოქალაქეობრივი უფლება და არ მიეღოს მონაწილეობა არჩევნებში.

გუშინ დუშეთის რაიონის მთიბარის სოფლების ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს თავიანთი ხმები კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს — წარჩინებულ მუშა მქსოველს ცაცა ქურციკიძეს და ხელოვნების გამოჩენილ ოსტატს ვახტანგ ჭაბუკიანს.

**ა. კოკილაშვილი,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
დუშეთი, 16 მარტი.

ს უ რ ა თ ზ ე: დუშეთის № 189/25 საარჩევნო უბანში. ამომრჩეველი ა. ქისტაური (მარჯვნივ), რომელიც წელს პირველად აძლევს ხმას და 101 წლის მოხუცი ა. ხულუზაური.

ფოტო გ. გოგოხიასი.





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: 1. თბილისის კალინინის რაიონის მე-9 საარჩევნო უბნის ამომრჩევლები ხმის მიცემის დროს. საარჩევნო ყუთში ბიულეტენს უშვებს ამომრჩეველი თ. ჭყონია; 2. № 72/25 საარჩევნო უბანში. წინა პლანზე: საარჩევნო ბიულეტენებს იღებენ მაიორი ი. ჩეპიკოვი და მისი მეუღლე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ე. ბარშახისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ზეიმის დღე

## მორიელ ჩუკოტკაში

ანადირი (ჩუკოტკის ეროვნული ოლქი). მოსკოვში 15 მარტის 22 საათი და 15 წუთია, ჩუკოტკის მშრომელებისათვის კი უკვე 16 მარტის კვირა დღეა, აქ ამომრჩევლები ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველნი შეუდგნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებს.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საარჩევნო უბანი კლუბშია მოთავსებული. კლუბის შენობა, ათობით პატარა საცხოვრებელი სახლი, რომლებიც ქვამლიანი იარანგების ადგილზე აშენდა, ელექტროსადგური და სხვა ნაგებობანი მკაფიოდ მოწმობენ ჩრდილოეთის ამ კოლმეურნეობის მიღწევებს უკანასკნელ წლებში. დილის 6 საათისათვის აქ შეიკრიბა ათობით კოლმეურნე მეირმე, მონადირე, მეთევზე. უფლება პირველს მიეცა ხმა — მათ მისცეს ახალგაზრდა ამომრჩეველს იუნკეუს.

— ხმას ვაძლევ ახალ შრომით წარმატებებს, მთელი მსოფლიოს მშვიდობას, — ამბობს იგი.

პირველი ბიულეტენი ჩაშვებულია ყუთში. მოდიან ახალი ამომრჩევლები. ხმის მიცემა ორგანიზებულად დაიწყო ჩუკოტკის სხვა ასთერთმეტ საარჩევნო უბანშიც.

**ი. რიაბოვი,**
საკდესის კორესპონდენტი.

## ამომრჩეველთა ერთსულოვნება

სიღნაღი. (საკ. კორ.). გაზაფხულის წარმტაცი დილაა. საარჩევნო უბნებისაკენ სიხარულით და სადღესასწაულო განწყობილებით დაიძრნენ ამომრჩეველთა ჯგუფები. საზეიმოდ მორთული და გაკაშკაშებულია სარაიონო კულტურის სახლი, სადაც მოთავსებულია საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ჩინჩალაძე ამომრჩევლებს სტუმართმოყვრულად უღებს საარჩევნო უბნის კარს. საარჩევნო ბიულეტენი პირველმა მიიღო სიღნაღის მე-2 საშუალო სკოლის XI კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ ნელი ნადირაშვილმა.

— ჩემი გული, — განაცხადა მან, — სიამაყით ძგერს. ვაძლევ რა ხმას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატებს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. მამაიაშვილს და ყვარლის რაიონის მოწინავე ტრაქტორისტს ნ. კურდღელაშვილს, დარწმუნებული ვარ, რომ ამით ხმას ვაძლევ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას.

სახეგასხივოსნებული და ბედნიერების გრძნობით უშვებენ საარჩევნო ყუთში ბიულეტენებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანები — ქართველები, რუსები, უკრაინელები. — ხმას აძლევენ ასოთამწყობი პ. ქამაროვი, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სატრიკოტაჟო საამქროს მოწინავე მუშა სიღნაღის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნინო სხირტლაძე, 80 წლის ი. ოსგელდოვი და სხვ.

... დილის 6 საათია. კვენაკლის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. მჭედლიშვილი ამომრჩევლებს არჩევნების დაწყებას ულოცავს. ამ საარჩევნო უბანში პირველთა შორის მოვიდნენ და დეპუტატობის კანდიდატებს აღფრთოვანებით მისცეს ხმა სოციალისტური შრომის გმირებმა — მოწინავე მევენახემ გიორგი კუტიბაშვილმა და მებაღეობა-მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირმა ფორე მჭედლიშვილმა.

რაიონში დღის 12 საათამდე ძირითადად დამთავრდა ხმის მიცემა. საარჩევნო უბნებში გვიან საღამომდე არ შეწყვეტილა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების გამოსვლები, ახალგაზრდობის მხიარულება, ცეკვა-თამაში და სიმღერები.

## გემ „პეტრე დიდზე“

ბათუმი. (საკ. კორ.). ზღვისპირა ქალაქში გაზაფხული დამკვიდრდა. ქალაქმა გუშინ განსაკუთრებით ადრე გაიღვიძა. მშრომელები მიიჩქარიან საარჩევნო უბნებისაკენ, რათა მოიხადონ თავიანთი პატრიოტული ვალი.

საზეიმო განწყობილებაა ყველგან, ქალაქის ყველა უბანში. განსაკუთრებით თვალისმომჭრელად გამოიყურება საზღვაო ნავსადგური, საიდანაც მოჩანს სადღესასწაულოდ მორთული საოკეანო და საზღვაო გემები და ტანკერები.

აი ჩვენ შავი ზღვის ფლოტის მშვენებაზე — უზარმაზარ გემ „პეტრე დიდზე“ ვართ. ძვირფასი ხალიჩებით მორთულ ერთ-ერთ სალონში მოწყობილია საარჩევნო უბანი.

— ჩვენი მეზღვაურები ამაყობენ მოპოვებული წარმატებებით, — განაცხადა გემის კაპიტანმა გრიგოლ მიროშნიჩენკომ. — წელს ჩვენ სულ უნდა გადავიყვანოთ 16 ათასი მგზავრი, ფაქტიურად კი 16 მარტამდე გადაყვანილი გვყავს 7.117 კაცი, თითქმის წლიური გეგმის ნახევარი. ამავე პერიოდში გადაზიდულია 2.445 ტონა ტვირთი, რაც წლიური გეგმის 45 პროცენტზე მეტს შეადგენს. ორნახევარ თვეში დაზოგილია 95 ტონა სათბობი. შარშან 1.500-მდე უცხოელი ტურისტი მოვიყვანეთ ბათუმში, მათ შორის ბულგარელები, რუმინელები, პოლონელები, ჩეხები, გერმანელები. წელს კიდევ უფრო მეტ რეისს გავაკეთებთ.

გემის ეკიპაჟი მრავალეროვანია. გემზე ერთნაირი მონდომებით და თავდადებით შრომობენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, მოლდაველები, ებრაელები და სხვა ეროვნების შვილები, რომლებიც ასე მჭიდროდ შედუღაბებია მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა წყობილებას. მათ დღეს ჩვენს ქალაქში ერთსულოვნად მისცეს ხმა ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოს უფროსს ევგენი ალექსანდრეს-ძე დანჩენკოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს პარტიის ოდესის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ალექსი ივანეს-ძე ფედოსეევს.

— ერთ-ერთმა პირველთაგანმა უდიდესი სიხარულით მივეცი ხმა მათ, — განაცხადა მატროსმა ბონდო ჯოჯუამ, — რადგან ღრმად მწამს, რომ ხმა მივეცი ჩემს საყვარელ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, მშვიდობას და ბედნიერებას.

გემის მთელმა ეკიპაჟმა, რომელშიც 150-ზე მეტი კაცი შედის, 10 წუთის განმავლობაში დაამთავრა ხმის მიცემა.

დიდი აღმავლობით ჩაიარა არჩევნებმა აგრეთვე ბათუმის ნავსადგურში მდგომ გემებსა და ტანკერებზე — „მალაია ზემლიაზე“, „მოსკოვის ფესტივალზე“, „ბელგოროდზე“.

## ხმის მიცემის უფლების მოწმობით...

არჩევნებია, საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე. ადრე გაიღვიძა სადღესასწაულოდ მორთულმა ქალაქმა. საარჩევნო უბნებში დიდი გამოცოცხლებაა.

თბილისის მშრომელებმა თავიანთ მშობლიურ ქალაქში კიდევ ერთხელ განახორციელეს დიადი კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — ხმა მისცეს ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს, სამშობლოს წარჩინებულ ადამიანებს.

თბილისელების უდიდესი ბედნიერება ამ დღეს ჩვენს ქალაქში მყოფმა საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ერების მრავალმა წარმომადგენელმა გაინაწილა. მათ თბილისის მშრომელებთან ერთად სიხარულით მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. საარჩევნო უბნებში განუწყვეტლივ მოდიოდნენ და ადგილობრივ ამომრჩეველთა ხმებს თავიანთ ხმას უერთებდნენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის წარმომადგენლები — რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უზბეკები...

სტალინის რაიონის № 26 საარჩევნო უბანი. ამ უბანში კენჭს იყრიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მჟავანაძე და თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ნოვატორი მქსოველი ნ. ამოსოვა. აქ ხმის მისაცემად მოვიდნენ მოძმე სომხეთის რესპუბლიკის ხელოვნების წარმომადგენლები, რომლებიც ახლა საგასტროლოდ იმყოფებიან თბილისში — სომხეთის სსრ კულტურის მინისტრი ა. შაღინიანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. გასპარიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი თ. საზანდარიანი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ა. პეტროსიანი.

— სიხარულით ვაძლევ ხმას დეპუტატობის კანდიდატებს, ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილებს. დაე კიდევ უფრო განმტკიცდეს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. ვუსურვებ ბედნიერებას მოძმე ქართველ ხალხს, — თქვა ხმის მიცემისას სომხეთის სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. ა. შაღინიანმა.

რამდენ გულთბილ წარწერას ნახავთ საარჩევნო ბიულეტენებზე. აი ერთი წარწერა, რომელიც კალინინის რაიონის № 26 საარჩევნო უბანში ხმის მიცემის დროს გააკეთა ბიულეტენზე მოსკოველმა ჟურნალისტმა პ. ანდრეევმა: „მიხარია, რომ ხმას ვაძლევ ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე წარმომადგენლებს მზიური საქართველოს დედაქალაქში. ვისურვებდი ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოძმე ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების კიდევ უფრო განმტკიცებას“.

თავიანთი მოქალაქეობრივი უფლება თბილისში განახორციელეს: მოსკოველებმა ტექნიკოსმა ნ. მანტულამ, მხატვარმა ნ. ფრიდმანმა, ლენინგრადელებმა ცოლ-ქმარმა ნედოშვინებმა, ბაქოელმა რ. გაბადოვმა, სევასტოპოლელმა ცოლ-ქმარმა ნიშჩეგლოდიებმა და მრავალი სხვა ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა.

ისინი ყველანი ერთსულოვნად, დიდი სიხარულის გრძნობით აძლევდნენ ხმას ხალხის ღირსეულ შვილებს.

**გ. ქურივიშვილი.**

# მთავრობის ჯილდოების გადაცემა

14 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადასცა დაჯილდოებულთა დიდ ჯგუფს — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური, სრულიად საკავშირო და VI მსოფლიო ფესტივალების მონაწილეებს, ყამირ მიწებზე მოსავლის აღების აქტიურ მონაწილეებს, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ ავტო-მოტოგარბენაში მარშრუტით კუსტანაი-მოსკოვი-თბილისი, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გზის ელექტროფიკაციის საქმეში და დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის პირველი ელექტროფიცირებული უბნის — ამიერკავკასიის მაგისტრალის სურამის უღელტეხილის უბნის ამუშავების 25 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ვ. გელდიაშვილმა.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადასცა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ლენინური კომკავშირის სახელობის ახალგაზრდათა ქართული ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელს გ. ვ. დარახველიძეს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს მ. მ. თუმანიშვილს, კომპოზიტორს, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორს მ. ა. ჩირინაშვილს. საპატიო სიგელები გადაეცათ აგრეთვე სასულე ორკესტრის ხელმძღვანელს ნ. ა. ქელტუხინს, ფესტივალის შტაბის უფროსს ნ. ვ. ქიტიას, კომპოზიტორ შ. ე. მილორავას, კომპოზიტორს საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის „რეროს“ სამხატვრო ხელმძღვანელს კ. გ. პევზნერს, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელს ი. ნ. ტუღუშს, კინორეჟისორ რ. დ. ჩხეიძეს.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ საპატიო სიგელები გადასცა ყამირ მიწებზე მოსავლის აღების აქტიურ მონაწილეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ავტო-მოტოგადარბენაში — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს რ. ე. აზაურაშვილს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ო. ვ. ყანჩელს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს.

საპატიო სიგელები მიიღეს აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებმა — თბილისის საელმავლო დეპოს ზეინკალმა ნ. ვ. გოჩიაშვილმა, ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანემ შ. ს. კაპანაძემ, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ი. გ. ქარუმიძემ, თბილისის ენერგომომარაგების უბნის უფროსმა გ. ი. ონიკაშვილმა, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის სამსახურის უფროსმა მ. ზ. თოიძემ, ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანემ მ. ი. შიუკაშვილმა და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორმა ლ. გ. აბელიშვილმა. სიგელები მიიღო სულ 67 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ე. ა. შევარდნაძე, რ. დ. ჩხეიძე, გ. ი. ონიკაშვილი და მ. ი. შიუკაშვილი.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და შემდგომი წარმატება უსურვა მუშაობაში.

(საქდესი).

## ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის

# ეს გამოცემულია თბილისში

მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობები „ზარია ვოსტოკა“, „საბჭოთა მწერალი“, „საბჭოთა საქართველო“ ამთავრებენ ახალი წიგნების გამოშვებას ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის.

ემზადებოდნენ რა დეკადისათვის, გამომცემლობები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქართული პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნას რუსულ ენაზე. უკვე გამოცემულია ასზე მეტი წიგნი. სამოცი მათგანის ავტორები ჩვენი თანამედროვენი არიან. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია საბჭოთა ცხოვრებისადმი, ჩვენი დღევანდელობისადმი. დიდი სულიერი სითბოთი წერენ მწერლები ოქტომბრის დიად მონაპოვარზე, საბჭოთა კავშირის ხალხების ძმურ მეგობრობაზე.

მტკიცე ნებისყოფის და მამაც, პატიოსან და თავდადებულ ადამიანთა სახეების გალერია დაგვიხატეს თავიანთ ნაწარმოებებში ქართული პროზის ოსტატებმა ლ. ქიაჩელმა, შ. დადიანმა, კ. გამსახურდიამ, კ. ლორთქიფანიძემ, დ. შენგელაიამ, ა. ქუთათელმა, ა. ბელიაშვილმა, ა. ჭეიშვილმა და სხვებმა.

რუსი მკითხველი პირველად გაეცნობა ალექსანდრე ქუთათელის რომანს „პირისპირ“. ვრცელ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით მწერალი მოგვითხრობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

პროზაიკოსთა ოჯახს ამას წინათ ახალი შევსება შეემატა. პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ გამოაქვეყნა ისტორიული რომანი „ლაშარელა“.

ახალი ნაწარმოებებით გამოდიან პროზაიკოსები ს. კლდიაშვილი, გ. ნატროშვილი, ლ. ავალიანი, თ. დონჯაშვილი, ს. თავაძე, რ. ჯაფარიძე, ი. ურჯუმელაშვილი... გამოიცა საბჭოთა ადამიანისადმი, მისი ყოველდღიური შრომისადმი მიძღვნილ მოთხრობათა კრებულები. ეს მოთხრობები ეკუთვნის ბ. ჩხეიძის, გ. ჩიქოვანის, ა. ლომიძის, მ. ასლანიანის, რ. ინანიშვილის და სხვა მწერლების კალამს.

ინტერესით იკითხება წიგნი „დიდ ოქტომბერს“, რომელიც „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა.

— ეს არის საქართველოს მწერლებისა და პოეტების შემოქმედებითი პატაკი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის, — ამბობს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანი ირაკლი აბაშიძე.

და მართლაც! ფურცლავთ ამ სქელტანიან წიგნს, და თქვენ თვალწინ მკაფიოდ იშლება ახალი ცხოვრების, ახალი ყოფის მშენებლობაში ქართველი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა მატიანე.

ორმოცი წლის გზნება ათასცხრაას
ჩვიდმეტი წლის ჰანგზე იწყებს ბასს
ლენინის გზით — ფერებს იწვევს
სხვა ასს
ფერი ძმობის და მშვიდობის დროშის...
ერთა ძმობა ჰყვავის დაფნის რტოში,
ერთა ძმობა მღერის პალმის რტოშიც.
დე მსოფლიოს წინ უძლოდეს ფერი,
ფერი თხუთმეტ რესპუბლიკის
დროშის!

საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ამ შთაგონებული სიტყვებით იწყება კრებული. ეს სიტყვები თითქოს მთელი წიგნის ეპიგრაფია. კრებულში, თითქოს შემოქმედებით შეხვედრაზე, თავი მოუყრიათ სხვადასხვა თაობის ასზე მეტ მწერალსა და პოეტს, რათა სიყვარულის თავიანთი მხურვალე, გულის სიღრმიდან ამომხდარი სიტყვა უთხრან სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას.

მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შევიდა შოთა რუსთაველის XII საუკუნის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. იგი ახლა კვლავ გამოიცა რუსულ ენაზე შ. ნუცუბიძის თარგმანით.

შემოქმედებითი პოეტური ძალების სიმდიდრეზე შეიძლება ვიმსჯელოთ დეკადისათვის გამოცემული ლექსების ბევრი კრებულის მიხედვით. კრებულებში წარმოდგენილია ქართული საბჭოთა პოეზიის მშვენება — გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ს. შანშიაშვილი, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, ა. მირცხულავა, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი, ხ. ბერულავა, რ. მარგიანი, ო. ჭელიძე და ბევრი სხვა.

ახალ გამოცემებში ფართოდ წარმოდგენილია აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მწერალთა ნაწარმოებნი. თარგმნილია საქართველოში მომუშავე სომეხ მწერალთა ნაწარმოებებიც.

ახალი გამოკვლევებით გამოვიდნენ კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები. მათ ნამუშევრებს შორის არის კაპიტალური შრომა „ქართული ლიტერატურის ისტორია“. იგი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან ჩვენს დრომდე. წიგნი დასაბეჭდად მოამზადეს ა. ბარამიძემ, შ. რადიანმა, ბ. ჟღენტმა. დაიბეჭდა და გამოვიდა ვ. შადურის „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართველი საზოგადოებრიობა“, ლ. ასათიანის „მოძმე ლიტერატურათა მეგობრობა“, ა. ნიკოლაძის „რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა“, ს. ჭილაიას „კრიტიკული სტატიების კრებული“, გ. მარგველაშვილის „ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები“, დ. ჯანელიძის „ქართული თეატრი“ და სხვ.

უკანასკნელ წელს გამოცემული 200-ზე მეტი წიგნი წარმოდგენილი იქნება დეკადის დღეებში ქართული წიგნის გამოფენაზე. ეს წიგნები მოწმობენ ქართველი მწერლების შემოქმედებით ზრდას, მათს მისწრაფებას ღირსეულად ასახონ მხატვრულ ლიტერატურაში საბჭოთა საქართველოში მომხდარი დიადი მოვლენები, დიადი გარდაქმნები.

**გ. ლებანიძე.**
(„პრავდის“ საკ. კორ.).

ქ. თბილისი.

* * *

14 მარტს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში გაიმართა საბჭოთა პრესისა და რადიოს წარმომადგენელთა პრეს-კონფერენცია ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით, რომელიც 21 მარტს მოსკოვში იხსნება. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ს. დოლიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუჭავამ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ე. ი. ჭიაურელმა, საქართველოს მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ უ. მ. ჯაფარიძემ, დეკადის სამხატვრო ხელმძღვანელმა რსფსრ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. მ. თუმანიშვილმა.

შეკრებილთათვის დახასიათებულ იქნა დეკადის პროგრამა.

„პრავდა“, 15 III.



ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილე ახალგაზრდა მოქანდაკეებმა ნ. ალექსიძემ, თ. ქურნიამ და გ. ქართველიშვილმა მოსკოველთა საჩუქრად შექმნეს ჯგუფური ქანდაკება — შადრევანი, რომელიც გამოსახავს ქართულ ხალხურ ცეკვას „სამაიას“. ქანდაკება ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან, მისი სიმაღლე სამ მეტრს აღემატება. ქანდაკება — შადრევანი დადგმული იქნება მოსკოვის ერთ-ერთ მოედანზე. სურათზე: ქანდაკება — შადრევანი.

## მოსკოვი ელის დეკადის მონაწილეებს

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). ამ დღეებში მოსკოვის დიდი თეატრის სალაროსთან ხშირად გაიგონებდით ასეთ შეკითხვას: — როდის გაიყიდება ბილეთები თბილისის ოპერის თეატრის სპექტაკლებზე?

სანატრელი დღეც დადგა.

დიდი და მცირე თეატრების, ვახტანგოვის სახელობის თეატრის, სამხატვრო აკადემიური თეატრის, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზის, კავშირთა სახლის და სხვა მრავალრიცხოვან სათეატრო სალაროებში, რომლებიც დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეშია მოთავსებული, დაიწყო საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე წარმოდგენილი სპექტაკლებისა და კონცერტების ბილეთების გაყიდვა. მოსკოველები დიდ ინტერესს იჩენენ დეკადისადმი.

მართალია, დეკადა 21 მარტს იწყება, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი თეატრების ფასადებზე, მოსკოვის ქუჩებში თუ საწარმოთა შენობებზე ყურადღებას იპყრობს დეკადისათვის გამზადებული მხატვრული აფიშები. საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების მუშაკებმა დაამტკიცეს თავიანთი ოსტატობა, და მოსკოველები არათუ კითხულობენ, არამედ სიამოვნებითაც უყურებენ მათ მიერ შესრულებულ ფერადოვან აფიშებს. ამ აფიშების მეშვეობით მოსკოველებმა უკვე იციან სად, როდის და რა იქნება ნაჩვენები დეკადის დღეებში.

დიდი თეატრის სცენაზე 17 მარტიდან დაიწყება სამონტაჟო რეპეტიციები, ხოლო დრამატულ თეატრებში — 19 მარტიდან.

უკვე დაგეგმილია დეკადაში მონაწილე მუსიკალური კოლექტივებისა და ანსამბლების საკონცერტო გამოსვლები.

მზად არის დეკადის მონაწილეთათვის ტრანსპორტი, აგრეთვე სასტუმროები, რომლებშიც დეკადის მონაწილენი იცხოვრებენ.

დეკადის დღეებში მოსკოვში მოეწყობა ქართველი კინემატოგრაფისტების მიერ შექმნილი ფილმების კინოფესტივალი. კინოფესტივალი გაიმართება დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრში „უდარნიკში“. აქ მოსკოველები ნახავენ ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებულ თხუთმეტ მხატვრულ ფილმს, ახალ ფილმს „საბჭოთა საქართველო“, მულტიპლიკაციურ და დოკუმენტალურ ფილმებს. გარდა ამისა, ქართული ფილმები ნაჩვენები იქნება კინოთეატრ „მოსკოვში“ და სხვა კინოთეატრებში.

* * *

მოსკოვში ჩამოტანილია ყველა ექსპონატი (რიცხვით 1200), რომლებიც წარმოდგენილი იქნება საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში მოსკოვში მოწყობილ გამოფენებზე. მოსკოვში იმყოფება თბილისიდან ჩამოსული საექსპოზიციო კომისია საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის მეთაურობით. კომისია შეუდგა საექსპოზიციო გეგმის დადგენას, რომლის მიხედვით მოეწყობა გამოფენა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიაში. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში ეწყობა წიგნის, წიგნის გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა. გარდა ამისა, აღმოსავლეთის კულტურის მუზეუმში ეწყობა გამოფენა, მიძღვნილი ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის მეგობრობისადმი.

# გავაძლიეროთ სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა

## მახარაძელთა თაოსნობის პასუხად

### ახალციხეში მუშაობას შეუდგნენ

ახალციხე თავისი ისტორიული წარსულით საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ძველად იგი ბევრჯერ ყოფილა დამპყრობთა ბარბაროსული თავდასხმების მსხვერპლი, მრავალჯერ ნანგრევებად ქცეულა მისი მიდამოები.

ვიწრო, ბნელი, ტალახიანი ქუჩები, კეთილმოუწყობელი შენობები — ასე წარმოგვიდგებოდათ ახალციხე წინათ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი რესპუბლიკის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად იქცა. ახლა მის კეთილმოწყობილ ქუჩებს მრავალსართულიანი მაღალი შენობები ამშვენებს.

დღითიდღე მშვენიერდება და კეთილმოწყობილი ხდება ახალციხე. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქალაქის კეთილმოწყობისათვის მრავალი სამუშაო შესრულდა, რაზეც 7 მილიონი მანეთი დაიხარჯა. სოფელ ურავლიდან ქალაქის მოსახლეობისათვის გაიყვანეს სასმელი წყალი, საგრძნობლად გაფართოვდა ელექტროქსელი. ცენტრალურ ქუჩებზე დაიდგა ლამპიონები, მოასფალტდა 62 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩები და მოედნები, დაიწყო კულტურის სასახლის მშენებლობა.

სწრაფი ტემპით იზრდება და ფართოვდება მეშახტეთა დაბა ვალე. გასულ სამ წელიწადში მის ტერიტორიაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 7.900 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აიგო კულტურის სასახლე კეთილმოწყობილი დარბაზებითა და კაბინეტებით.

კიდევ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ახალციხის რაიონის სოფლები. მათ ტერიტორიაზე ყოველწლიურად შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა მახარაძელთა თაოსნობის პასუხად შეიმუშავა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმა. ამ გეგმით განზრახულია რაიონის მოსახლეობის სასმელი წყლით მთლიანად დაკმაყოფილება; გათვალისწინებულია აგრეთვე მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ელექტროქსელი. სამი წლის განმავლობაში მარტო ქალაქ ახალციხეში კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე 16.303 ათასი მანეთი დაიხარჯება, ხოლო დაბა ვალეში — 28.100 ათასი მანეთი.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი სამშენებლო ობიექტების უკეთ მომარაგების მიზნით ყოველწლიურად 800 ათას ცალ აგურს და 150 ათას ცალ ყავარს გამოუშვებს. დაიწყება აგრეთვე საშენი ქვის წარმოება.

ახალციხის რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სამწლიანი გეგმის შემუშავებას და უკვე შეუდგნენ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

**ე. ხარებავა,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

### სამტრედიელთა ვალდებულებანი

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სამტრედიის რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის დარგში. კიდევ უკეთესი იქნება მისი მომავალი. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონული საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას. სესიამ მახარაძის რაისაბჭოს მაგალითისამებრ განიხილა რაიონის ცენტრისა და სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკითხი და ამ მიზნით მიიღო 3-წლიანი გეგმა.

სამწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქალაქის ყველა ქუჩის მოასფალტება, რაზეც დაიხარჯება 950 ათასი მანეთი. 1 მილიონ მანეთამდე დაიხარჯება ქუჩების კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე. ამდენივე ღირებულების სამუშაო შესრულდება ქალაქის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით. წელს დამთავრდება რკინიგზელთა ორი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ლენინის ქუჩაზე და დაიწყება 20 და 45-ბინიანი სახლების მშენებლობა.

აშენდება საზამთრო კინოთეატრი. დამთავრდება წყალსადენის მეორე რიგის სამუშაოები. ამ საქმისათვის დაიხარჯება 516 ათასი მანეთი.

ქალაქის მოსახლეობის წყალდიდობისაგან დაცვის მიზნით გათვალისწინებულია მდინარე რიონის ნაპირების გამაგრება და მდინარე ჯურთავას მარჯვენა მხარეს სანაპიროს გაკეთება. ამ ღონისძიებებზე ცენტრალიზებული წესით დაიხარჯება 33 მილიონი მანეთი.

სერიოზული ღონისძიებაა გათვალისწინებული სოფლების კეთილმოწყობის მხრივაც. მაგალითად, კულაშის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე დამთავრდება ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლის მშენებლობა, სოფლის ცენტრში 10 ათასი კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგება ასფალტი, აიგება კულტურის სახლი, მაღაზია, სავაჭრო ფარდული, აფთიაქი და საავადმყოფო. კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები აშენებენ ახალ კანტორებს.

**ვ. კოპალეიშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ამომრჩეველთა წინაშე საზღვარგარეთის პრესაში

**პრაღა**, 15 მარტი. (საქდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური გაზეთების უმრავლესობა აქვეყნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარსს. გაზეთები გამოჰყოფენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის აზრებს მოსახლეობის საჭიროებებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შესახებ, კაპიტალისტური საარჩევნო სისტემის წინაშე საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობათა შესახებ, მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის შესახებ.

გაზეთი „რუდე პრავო“ წერს, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მოწოდებაა დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებისადმი ბოლო მოუღონ „ცივ ომს“, მიაღწიონ შეთანხმებას განიარაღების და, კერძოდ, ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

გაზეთი „ზემედელსკე ნოვინი“ აქვეყნებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ არის ისეთი ამოცანა, რომლის გადაჭრაც საბჭოთა ხალხს არ შეეძლოს.

სხვა გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ და კვლავ აცხადებს, რომ მზად არის მიაღწიოს სადავო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, მიაღწიოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

**ბერლინი**, 15 მარტი. (საქდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გუშინდელი სიტყვა ამომრჩეველთა წინაშე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. დღევანდელი დემოკრატიული გაზეთები ამ სიტყვის შესახებ ცნობებს პირველ გვერდზე ბეჭდავენ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნოიეს დოიჩლანდი“, რომელსაც დაწვრილებით მოჰყავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი, განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ადგილებს, რომლებიც ეხება სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების ზრდას, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საკითხებს. გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირში წარმოებული მშენებლობის უდიდეს გაქანებას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ მხოლოდ ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ დაახლოებით 400 მილიარდი მანეთი შეადგინა. გაზეთი დიდ ადგილს უთმობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია საკითხებზე, რომლებიც შეიძლება გადაჭრას თათბირმა უმაღლეს დონეზე.

მოჰყავს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი, გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ სათაურში აღნიშნავს, რომ უმაღლეს დონეზე თათბირი კარგი დასაწყისი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჭიროა ატომგულის იარაღის საყოველთაო აკრძალვა, ეხება ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომ შესაძლებელია გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხის განხილვა.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ განსაკუთრებით ეხება ნ. ს. ხრუშჩოვის კრიტიკულ მოსაზრებებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის იმ წინადადების გამო, რომ განიხილონ ეგრეთწოდებული საკითხი „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მდგომარეობის“ შესახებ, და ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მთავრობა კატეგორიულ უარს აცხადებს ამ „საკითხის“ განხილვაზე.

გაზეთები „ტრიბუნე“, „ნაციონალცაიტუნგი“ და „ნოიე ცაიტი“ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მუდამ იბრძოლოს მშვიდობისათვის, ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიღწევას, ყველა მომწიფებული საერთაშორისო საკითხის მოწესრიგებას.

ცნობები ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ არაერთხელ გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსადგურებმა.

**ბუქარესტი**, 15 მარტი. (საქდესი). რუმინეთის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე.

რუმინეთის პრესა თვალსაჩინო ადგილას, დიდი სათაურებით აქვეყნებს სიტყვის შინაარსს. გაზეთები სათაურებში ხაზს უსვამენ, რომ სსრ კავშირს შეუძლია წარმატებით განახორციელოს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები და გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დიდ აღმავლობაზე, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკაზე.

**ვარშავა**, 15 მარტი. (საქდესი). „ტრიბუნა ლიუდუ“, „ჟიცე ვარშავი“, „გლოს პრაცი“ და პოლონეთის სხვა გაზეთებმა გამოაქვეყნეს შინაარსი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვისა მოსკოვის კალინინის ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. „ტრიბუნა ლიუდუ“ ცნობას ბეჭდავს დიდი სათაურით: „საჭიროა დავიწყოთ კონკრეტული მზადება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციისათვის“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე ეტაპზე მომწიფდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც გადაჭრას მოითხოვენ. უმნიშვნელოვანესი საკითხია უშიშროების უზრუნველყოფა ევროპაში. გაზეთი მხარს უჭერს წინადადებას უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ.

„გლოს პრაცი“ მხარს უჭერს წინადადებას უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ და აცხადებს, რომ უკვე დროა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას ასეთი თათბირის მოწვევისათვის.

**ბუდაპეშტი**, 15 მარტი. (საქდესი). ყველა დღევანდელი გაზეთი დაწვრილებით აშუქებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ამომრჩეველთა კრებაზე მოსკოვში. „ნეპსაბადშაგი“ ხაზს უსვამს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის იმ ადგილებს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ საკითხთა მშვიდობიანი გადაჭრის მთავარი დაბრკოლებაა იმპერიალისტური სახელმწიფოების წამყვანი წრეების უარი — მიიღონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ.

## ულან-ბატორში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

**ულან-ბატორი**, 15 მარტი. (საქდესი). დღეს ულან-ბატორში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XIII ყრილობაზე დასასწრებად, რომელიც 17 მარტს იხსნება, ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. გ. იგნატოვის მეთაურობით. ჩამოვიდნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების პარტიული დელეგაციები.

## გულთბილად გააცილეს

**ფხენიანი**, 15 მარტი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა გულთბილად აცილებს თავის მებრძოლ მეგობრებს — ჩინელ სახალხო მოხალისეებს. დღეს ფხენიანში გაიმართა დედაქალაქის მცხოვრებთა მრავალათასიანი მიტინგი მოხალისეთა პირველი პარტიის სამშობლოში გამგზავრების გამო. ათეულ ათასობით ფხენიანელი მქუხარე ოვაციითა და მისალმებებით შეხვდა ჩინეთის სახალხო მოხალისეებს — მებრძოლებსა და ოფიცრებს, როცა ისინი მოედანზე შემოვიდნენ.

მიტინგს დაესწრნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე კიმ ირი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები პაკ დენ აი, პაკ კიმ ჩერი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

მიტინგზე გულთბილი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ კიმ ირმა. კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა ჩინელ სახალხო მოხალისეებს დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს მათ რესპუბლიკას როგორც ომის დღეებში, ისე ომის შემდგომ პერიოდში.

მიტინგზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მოხალისეთა ხელმძღვანელმა გენერალ-ლეიტენანტმა ჯან ტიან-იუნმა.

## ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის გამო სტოკჰოლმში

**სტოკჰოლმი**, 15 მარტი. (საქდესი). ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალთა მომწყობი შვეციის კომიტეტი პრესისათვის განცხადებაში იტყობინება, რომ მარტის ბოლოს სტოკჰოლმში მოეწყობა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 70 ქვეყნის 200-მდე დელეგატი. კონფერენციაზე განსაკუთრებით ფართოდ იქნება წარმოდგენილი სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები. ახალგაზრდობის კონფერენცია განიხილავს ახალგაზრდობის მეშვიდე მსოფლიო ფესტივალის მოწყობის გეგმებს, დააწესებს მისი მოწყობის ადგილსა და დროს, განსაზღვრავს ფესტივალის პროგრამას.

ახალგაზრდობის სტოკჰოლმის კონფერენციას იწვევს მოსამზადებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი მოღვაწეები.



მოდის, მძლავრად მოაბიჯებს გაზაფხული. ბარად იები და ენძელები თავმომწონედ დახხდნენ კორდებზე. მთაში ჯერ კიდევ ზამთარია. აი სვანეთის მრავალფეროვანი ბუნება — სულ მაღლა ცადაზიდული მარადთოვლიანი მწვერვალებია გაწოლილი, მრისხანე უშბა, ქვემოთ დათოვლილი ტყის მწვანე მასივები არტყია გალავანივით. სურათზე: უშბის ხედი.

ფოტო ვ. რატიანისა.

## ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის საგასტროლო სპექტაკლები

გუშინ დღის 12 საათზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ერევნის ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის საბალეტო კოლექტივმა წარმოადგინა თვალსაჩინო სომეხი საბჭოთა კომპოზიტორის გ. ეგიაზარიანის ბალეტი „სევანი“.

ბალეტი „სევანი“ დადგა სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. არბატოვმა, მხატვრულად გააფორმეს სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა კ. მინასიანმა და ა. შაქარიანმა. ორკესტრს დირიჟორობდა სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი რ. სტეპანიანი.

გუშინ საღამოს სომხურმა საოპერო კოლექტივმა თბილისელ მაყურებლებს უჩვენა ცნობილი ფრანგი კომპოზიტორის შარლ გუნოს პოპულარული ოპერა „რომეო და ჯულიეტა“. ოპერის დადგმა ეკუთვნის სომხეთის სსრ სახალხო არტისტს პროფესორ ვ. ვართანიანს, მხატვრულად გააფორმა სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. მინასიანმა, დირიჟორობდა სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ხ. ჩარექიანი.

ერევნის ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საგასტროლო სპექტაკლებს დიდი წარმატება ხვდა.

## გორის თეატრი თბილისში

რამდენიმე დღეა თბილისში საგასტროლოდ იმყოფება გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრი.

საგასტროლო რეპერტუარში თეატრს შეტანილი აქვს ექვსი სპექტაკლი: მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, მ. გორკის „ზიკოვები“, გ. ნახუცრიშვილის „წიწამური“, ო. ჩხეიძის „ვისია ვისი?!“ ა. გიმერას „კაცი და მგელი“ და ჯ. პრისტლის „საუნჯე“. თეატრის მთავარი რეჟისორია შ. ქარუხნიშვილი.

თბილისელმა მაყურებლებმა უკვე ნახეს მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“. გუშინ თეატრმა მაყურებელს ორი სპექტაკლი უჩვენა: მარჯანიშვილის სახელობის თეატრში — ო. ჩხეიძის კომედია „ვისია ვისი?!“ და რუსთაველის სახელობის თეატრში — ჯონ პრისტლის სატირული კომედია „საუნჯე“. ეს პიესა, რომლის დადგმა ეკუთვნის შ. ქარუხნიშვილს, საბჭოთა სცენაზე პირველად განახორციელა გორის სახელმწიფო თეატრმა.

თეატრის გასტროლები 24 მარტამდე გასტანს.

## სპორტის ამბები

### საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა მომავალი შეხვედრები

მიმდინარე სასპორტო სეზონში როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყობა ამ ორი ქვეყნის სპორტსმენთა კოლექტივების საერთაშორისო შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

აპრილის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგური შეხვედრების გასამართავად გაემგზავრება სსრ კავშირის ნაკრები გუნდი თავისუფალ ჭიდაობაში, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იქნებიან საქართველოს სპორტსმენები. ამ დღეებში მოსკოვში შეკრებაზე გაემგზავრნენ მ. ცალქალამანიძე, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე და სხვები, აგრეთვე მწვრთნელი დ. ციმაკურიძე.

აპრილის მეორე ნახევარში მოსკოვში მოელიან მსოფლიოს ჩემპიონებს კალათბურთში — ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა და ვაჟთა გუნდებს.

### პირველი წრის მეორე ტური

**ლენინგრადი**. 15 მარტი. აქ დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივების ასპარეზობა. ეს შეჯიბრება წარმოადგენს სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი წრის მეორე ტურს.

პირველ დღეს, 13 მარტს, თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდმა მძაფრ ბრძოლაში დამარცხება განიცადა მოსკოვის „სერპ ი მოლოტის“ კალათბურთელთა კოლექტივთან 43:45. თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი ამ დღეს შეხვდა სსრ კავშირის ჩემპიონს რიგის სკვო-ს. გაიმარჯვეს არმიელმა სპორტსმენებმა 73:53.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის ცსკ მო-ს ვაჟთა გუნდების მატჩი. ორი ტაიმის შედეგი იყო 66:66. დამატებით დროში თბილისელებმა წააგეს შეხვედრა 72:74.

ასპარეზობის მეორე დღეს, 14 მარტს, თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდმა გაიმარჯვა ლენინგრადელ თანაკლუბელებთან შეხვედრაში 74:72. თბილისის „დინამომ“ წააგო შეჯიბრება ალმა-ატის „ბურევესტნიკის“ გუნდთან 41:42. თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „ტრუდის“ ქალთა გუნდების მატჩის შედეგია 54:49.

შეჯიბრება გრძელდება.

### „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობის წინ

„ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივებთან ერთად ახალი სეზონისათვის ენერგიულად ემზადებიან „ბ“ კლასის გუნდები. ზოგიერთი მათგანი შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე იმყოფება. აქ ისინი კომპლექტდებიან, გადიან სისტემატურ წვრთნას, აწყობენ ამხანაგურ მატჩებს.

„ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობისადმი ინტერესი უთუოდ დიდია. ამ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ წელს თვალსაჩინოდ გაიზარდა შეჯიბრებაში მონაწილეთა რიცხვი. 1958 წლის სასპორტო სეზონში „ა“ კლასში გადასვლისათვის იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის 86 ქალაქის 94 გუნდი, რომლებიც დაყოფილი არიან 6 ზონად. ზონებში გათამაშება მოეწყობა წრიული სისტემით, ორ წრედ, რის შემდეგ გამარჯვებულები გაითამაშებენ ფინალურ ტურნირს. „ა“ კლასში გადავა 1 გუნდი.

1959 წლიდან „ბ“-დან „ა“ კლასში გადასვლა მოხდება შემდეგნაირად — ზონებში გამარჯვებულთა ექვსეულს „ა“ კლასიდან დაემატება მეშვიდე გუნდი, რომელიც ჩემპიონატში მე-11 ადგილს დაიკავებს. იმ შემთხვევაში, თუ ამ გუნდმა შეძლო ფინალურ ტურნირში პირველი ან მეორე ადგილის დაკავება, იგი კვლავ დაუბრუნდება „ა“ კლასს, წინააღმდეგ შემთხვევაში „ბ“-დან „ა“ კლასში გადავა 2 გუნდი.

როგორც ცნობილია, „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა დაიწყება 13 აპრილს და გაგრძელდება ოქტომბრის მეორე ნახევრამდე. საქართველოს სამივე გუნდი — თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივი, ქუთაისის „ლოკომოტივი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“ — ჩარიცხულია მეოთხე ზონაში.

თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის გუნდი პირველ მატჩს გამართავს 13 აპრილს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფეხბურთელთა ახალ კოლექტივთან — „ბურევესტნიკთან“. შემდეგ არმიელი ფეხბურთელები გაემგზავრებიან ასტრახანში, სტალინგრადში, კრასნოდარში, სტავროპოლში, სადაც 20, 24 აპრილს და 2, 6 მაისს შეხვდებიან ადგილობრივ გუნდებს — „ტრუდს“, „მეტალურგს“, „ყუბანს“ და „სპარტაკს“. ქუთაისის „ლოკომოტივი“ პირველ მატჩს გამართავს სტალინგრადში ადგილობრივ „მეტალურგთან“.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

## მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულება

**სოფია**, 15 მარტი. (საქდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბულგარეთის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-10 წლისთავს, რაც 18 მარტს სრულდება.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გამართული კრებები იქცევა ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად. გუშინ სოფიაში 6 სექტემბრის სახელობის ქარხნის კოლექტივის კრებაზე გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ქიცკო ქიცკოვი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მშვიდობის შენარჩუნებისა და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართა აგრეთვე ბურგასში, კირჯალში და ბულგარეთის სხვა ქალაქებში.

## უნგრეთის 1848–1849 წლების რევოლუციის 110 წლისთავი

**ბუდაპეშტი**, 15 მარტი. (საქდესი). დღეს უნგრელი ხალხი აღნიშნავს 1848-1849 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაწყების 110 წლისთავს.

გუშინ ბუდაპეშტში უნგრეთის სახალხო არმიის თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მოაწყეს სამამულო სახალხო ფრონტმა და უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა. სხდომას დაესწრნენ რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ფ. მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. კალაი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარე შ. რონაი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრები, უნგრეთის მთავრობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, უნგრეთის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების წარმომადგენლები. ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. კომოჩინმა. მან აღნიშნა, რომ უნგრელი მშრომელი ხალხი, რომელიც თავისუფალ და დამოუკიდებელ უნგრეთში ცხოვრობს, წმიდად სცემს პატივს როგორც 1848-1849 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციებს, ისე 1919 წლის უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტრადიციებს.

იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები და საღამოები გაიმართა მთელ უნგრეთში.

## ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის მართვის რეორგანიზაცია

**პრაღა**, 15 მარტი. (საქდესი). აქ გამოქვეყნდა ცნობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის სხდომის თაობაზე, რომელმაც განიხილა წინადადებანი სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მართვის ახალი ორგანიზაციის შესახებ. ამ წინადადებების მიზანი, რომლებიც ხორციელდება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, არის სახალხო მეურნეობის მართვის ეფექტიანობის ამაღლება.

ამა წლის 1 აპრილისათვის, ნათქვამია ცნობაში, ლიკვიდირებულ იქნება სამინისტროთა მთავარი სამმართველოები. სამინისტროების ადმინისტრაციული აპარატი საშუალოდ შემცირდება 50 პროცენტით და მეტით.

მთავრობამ განიხილა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებანი.

## მაროკოსა და ესპანეთის კომუნისტური პარტიების ერთობლივი განცხადება

**პარიზი**, 15 მარტი. (საქდესი). 3-დან 5 მარტამდე მიმდინარეობდა მაროკოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციისა და ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მოლაპარაკება. ამ შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ მაროკოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა სავსებით შეესაბამება „ესპანეთის უშიშროებისა და აყვავების ძირითად ინტერესებს, როგორც აღიარებულ იქნა წარსულში არა მარტო მუშათა კლასის წარმომადგენელთა მიერ, არამედ აგრეთვე ესპანეთის ლიბერალური ბურჟუაზიის ყველაზე შორსმჭვრეტელ მოღვაწეთა მიერ“.

ესპანეთის კომუნისტური პარტია „ამ ტრადიციის ერთგული, აცხადებს, რომ მაროკოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიის სრული გაერთიანებისათვის მაროკოელი ხალხის ბრძოლის უყოყმანო მხარდაჭერა ესპანეთის მუშათა კლასისა და ყველა პატრიოტის ვალია“.

„ომის განგრძობას იფნისა და რიოდე-ოროში, — ხაზგასმით აღნიშნულია ამ დოკუმენტში, — შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ათასობით ახალგაზრდა ესპანელის დაღუპვა, ესპანეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება, რაც უამისოდაც მძიმეა, იმ ფართო შესაძლებლობისათვის სერიოზული ძირის გამოთხრა, რომელიც ესპანეთსა და მაროკოს შორის ურთიერთსასარგებლო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის დარგში არსებობს“.

## ინდოეთის პრესა აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში დასავლეთის სახელმწიფოთა ჩარევის შესახებ

**დელი**, 15 მარტი. (საქდესი). გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა“, ეხება რა ინდონეზიის საშინაო საქმეებში დასავლეთის სახელმწიფოთა ჩარევას, აღნიშნავს დალესის პროვოკაციულ განცხადებებს, იმ ფაქტებს, რომ მეამბოხეებს იარაღით ამარაგებენ, იმ გულთბილ მიღებას, რომელიც მეამბოხეთა ლიდერებს მანილაში გაუმართეს სეატოს საბჭოს სესიის დროს. შეიარაღებული შეტაკება სუმატრაზე, წერს გაზეთი, არ მოხდებოდა, ზოგიერთი დაინტერესებული სახელმწიფოს საქმიანობა რომ არ ყოფილიყო. დალესის სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, განაგრძობს გაზეთი, „თავისუფალი სამყარო“ ისწრაფვის აღადგინოს თავისი გავლენა ინდონეზიაში. მაგრამ ცხადია, რომ ინდონეზიის ხალხი, რომელსაც ესოდენ ძვირად დაუჯდა თავისი თავისუფლება, იბრძოლებს მისი შენარჩუნებისათვის და არ დაუთმობს პოლიტიკურ ავანტიურიზმს, რომელსაც მხარს უჭერენ უცხოეთის სახელმწიფოები.

გაზეთი „ნავ ბჰარატ ტაიმსი“ აცხადებს, რომ თუ სეატოს ქვეყნებმა აშკარად ან ფარულად რაიმე დახმარება გაუწიეს მეამბოხეებს ცენტრალურ სუმატრაზე, ამას აზიის ქვეყნები საშიშროების სიგნალად მიიჩნევენ. თუ დღეს, გაფრთხილებას იძლევა გაზეთი, სეატო დახმარებას გაუწევს აჯანყებულებს, რათა დაამხონ ინდონეზიის მთავრობა, ხვალ სეატო ამასვე ჩაიდენს იმისათვის, რომ დაამხოს ინდოეთის მთავრობა.

გაზეთი „ჯუგანტარი“, აღნიშნავს რა სეატოს კავშირს ინდონეზიის ამბებთან, წერს, რომ, თუ მოხდა რაიმე ჩარევა გარედან ინდონეზიის საშინაო საქმეებში, მაშინ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იფეთქებს საშინელი ხანძარი და ამისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებიც ჩარევას ახორციელებენ. ამასწინანდელი ამბები ინდონეზიაში, ინდოეთის აღმოსავლეთით, და შუა აღმოსავლეთში, ინდოეთის დასავლეთით, სერიოზული შეშფოთების სრულ საფუძველს იძლევიან.

ყოველკვირეული „ნიუ ეიჯი“ აღნიშნავს, რომ ინტრიგები, ჩარევა, პროვოკაციები და იმპერიალისტ კოლონიზატორთა მზადება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში ომისათვის ახალს არაფერს წარმოადგენს. მაგრამ დღეს მთელმა ამ საქმიანობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. სეატოს საბჭოს სესია, რომლის ცენტრალური ფიგურა იყო დალესი, უეჭველია ამ ახალ მიმართულებას მოწმობს.

აღნიშნავს რა სეატოს მონაწილე ქვეყნების აგრესიული საქმიანობის გაძლიერებას, გაზეთი განაგრძობს: „ინდოეთისა და აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების ხალხები გულგრილი ვერ დარჩებიან ამ ახალი აგრესიული საქმიანობის საფრთხისადმი, თუ არა სურთ საფრთხე შეუქმნან თავიანთ არსებობას“.


## დ ღ ე ს
## თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ორლიონოკი, **ამირანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — სიცოცხლე თუ სიკვდილი, **ამირანი** (საზაფხულო) — მექსიკის სერენადა, **თბილისი** — ტყუპთა ოინები, **კომკავშირელი** — ჰიქა ლუდი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — მერძევე ჰილია, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მგლები, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ივნისის დღეები, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ბატონი ტაქსი, **კოლმეურნე** — ბატონი 420, **დიდუბე** — სევანელი მეთევზეები, **ყაზბეგი** — წეროები მიფრინავენ, **კიროვის სახელობის პარკი** — საბუდარელი ჭაბუკი, **კომუნარების ბაღი** — პოლიციელები და ქურდები, **სარეწაო ხაბჭოს კოოპერაციის კულტურის სახლი** — ეს მოხდა პენკოვოში, **ცენტრალური კულტურის სახლი** — მეზღვაურის ქალიშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი
ყოველდღე
სომხეთის ცირკის მსახიობთა გასტროლები
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
კვირაობით
**დღის ორი საბავშვო წარმოდგენა**
დასაწყისი I-12 ს., II-3 ს. ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.


მეუღლე ოლია, შვილები თენგიზ, ლამარა, ძმები ალექსანდრე, ბორის, დები ელისაბედ ეკატერინე, სიძეები შ. კალმახელიძე, ა. ტაბატაძე, ა. ჩოლათაშვილი; ს. ალბერტაშვილი, ვ. ხმალაძე, ა. ჯაფარიძე ოჯახებით იუწყებიან **გიორგი სიმონის-ძე ლითანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 4 ს. გრიბოედოვის ქ. № 17.

შვილი გურამ კარტოზია, რძალი ცისანა თოდუა; თამარ, ვარლამ თოდუები ოჯახით იუწყებიან **ალექსანდრე სოლომონის-ძე კარტოზიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 18-III, 4 ს. მასწავლებლის სახლიდან, ფურცელაძის ქ. № 3.

შვილები აგრაფინა, ჟუჟური ურიდიები, კლარა, ლუსია გოჩოლეიშვილები, მურმან დავითაია. სიძეები ა. ლაბაძე, გ. გაბუნია იუწყებიან **მატრონა ათანასეს ასულ ურიდიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III, სოფ. ონტოფოში (აბაშის რ.).

შვილები მიხეილ, მარიამ, რძალი თამარ ლელაშვილები; ზურაბ ლელაშვილი იუწყებიან **დარია ალექსის ასულ ლელაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. პლეხანოვის პროსპ. № 90.

მეუღლე პოპინა, შვილი არიშა, დები კონია, ივლიტა, ლიზა, სიძეები ვ. დაუშვილი, ვ. ტოგონიძე, კ. ბაკურაძე ოჯახებით იუწყებიან **სერგო იოსების-ძე გოგლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. ოქტომბრის ქ. № 85.

მეუღლე სონია, შვილები ვლადიმერ, თამარ, ოთარ, ძმა ესტატე ოჯახით, რძლები თამარ, ქსენია; ივანე, ქეთევან დანგაძეები შვილებით იუწყებიან **გრიგოლ ივანეს-ძე დანგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III, სოფ. კრისხევში (ხაშურის რ.).

შვილი ეკატერინე. სიძე ქრისტეფორე გიორგაძე; ანატოლი გიორგაძე, ლიზა, როზა, სიმონ, ვასილ. დავით ბალიაშვილები ოჯახებით იუწყებიან **სოფიო სიმონის ასულ დალაქიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 4 ს. ი. ჭავჭავაძის ქ. № 10.

მეუღლე თამარ, შვილები კარლო, კამო, რძალი მარიამ, ძმები კონსტანტინე, გიორგი, არჩილ, ალექსანდრე. ნიკოლოზ, დები მარიამ, თამარ ოჯახებით იუწყებიან **ირაკლი ნიკოლოზის-ძე ხმალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III სიღნაღში, გამოსვენება შაუმიანის ქ. № 28.

მშობლები გოგუცა, ყარამან, და ნანა; ვ. ლომია, გ. მაქაცარია, მ. ფარცხალაძე, ფ. სიხარულიძე, ნ. კვირკველია, ე. სართანია ოჯახებით იუწყებიან **გიორგი (გამა) ყარამანის-ძე ლომიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. კავშირის ქ. № I-ა.

შვილები ნიკოლოზ, კონსტანტინე, ვერა, რძლები მარიამ, ანა ოჯახებით იუწყებიან **ონისიმე ოქროპირის-ძე ჟვანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-III სოფ. მაიაკოვსკში.

მშობლები სოლომონ, ანა, შვილები ვლადიმერ, გიორგი, მარიამ, პელაგია, ელენე ელერდაშვილები, რძალი ნუნუ შავიძე ოჯახებით იუწყებიან **ქეთევან სოლომონის ასულ ელერდაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. კალეთის ქ. № 16.

თბილისის მე-3 საშუალო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან **ვასილ ნესტორის-ძე მაღლაკელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III სოფ. დიხაშხოში (ვანის რ.).

დედა რისიმე, მეუღლე ლუბა, შვილები ეთერ, ბეჟან, ნელი, ძმა ივანე, დები ელენე, ქეთევან, მარიკა სიორიძეები, სიძეები ნ. კვირკველია. შ. ჭელიძე ოჯახებით იუწყებიან **დავით ზოსიმეს-ძე სიორიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-III, 8 ს. გამოსვენება 20-III, 4 ს. ბარნოვის ქ. № 141.

უე 00690 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.